

## „მინერალოგიის და პეტროგრაფიის” სასწავლო–სამეცნიერო ლაბორატორია– მუზეუმი გარემონტდა და განახლდა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტთან (დეპარტამენტის უფროსი ნ. ფოფორაძე) არსებული „მინერალოგიისა და პეტროგრაფიის” მუზეუმი გარემონტდა და განახლდა.

„მინერალოგიისა და პეტროგრაფიის” მუზეუმში თავმოყრილია მინერალების და ქანების კოლექციები მსოფლიოს თითქმის ყველა ცნობილი საბადოდან და რეგიონიდან. აქვია მინერალთა სისტემური, გეიქიმიური, გენეტური და ცალკეული ლითონის მთავარი მინერალების კოლექციები, ფართოდაა წარმოდგენილი მინერალთა კრისტალური სტრუქტურები.

მუზეუმი დაარსებულია 1940 წელს თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის შენობაში სადაც იგი განთავსებული იყო ერთ ოთახში, რომელშიც მინერალთა კოლექციები გამოფენილი იყო მცირე ზომის რვა ვიტრინაში.

1952 წლიდან როდესაც დამთავრდა სამთო–გეოლოგიური კორპუსი და მუზეუმმა დაიკავა ის ფართი რა ფართიც ამჟამად აქვს დაკავებული იწყება მუზეუმის გაფართოება და შევსება მინერალთა და ქანთამრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ახალი ნიმუშებით.

მუზეუმის ჩამოყალიბებაში და მის შევსებაში დიდი წვლილი მიუძღვით თინა ავალიანს, გიორგი ხარაშვილს, გიორგი ზარიძეს, ირინე ფარადაშვილს და სხვა მრავალ ყოფილ ამჟამინდელ თანამშრომელს.



**პირველი დარბაზის საერთო ხედი**

მუზეუმში წარმოდგენილია ქართველ გეოლოგთა მრავალი თაობის მიერ შეგროვილი საქართველოს და მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონის ცნობილი და ზოგჯერ უნიკალური მადნების, მინერალების, ქანების ნიმუშები, რომლებიც ორიგინალურობით, მრავალფეროვნებით და წარმომადგენლობით ტოლს არ უდებს მოწინავე მუზეუმებში დაცულ ექსპონატებს.

წლების განმავლობაში მინერალთა და ქანთა კოლექციების შევსება ხორციელდებოდა, როგორც ცენტრალიზებულად გამოწერით გეოლოგიური ექსპედიციებიდან, ასევე მრავალი ნიმუში საჩუქრადაა გადმოცემული ყოფილი სტუდენტების მიერ, რომლებიც გასულ საუკუნეშიმუშაობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ საბადოებზე. კათერის თანამშრომლების სავსე ექსპედიციების და სტუდენტთა გეოლოგიური პრაქტიკების ჩატარების დროს ხორციელდებოდა სასწავლო მასალის შეგროვება მინერალთა და ქანთა მრავალი საინტერესო ნიმუშის შეგროვება. კათედრა გეოლოგიურექსპედიციებს და პრაქტიკებს ატარებს არა მარტო საქართველოს ტერიტორიაზე არამედ, ყოფილ საბჭოთა კავშირის, ევროპის და ამერიკის გეოლოგიურად საინტერესო სხვადასხვა რეგიონში.

ამჟამად მუზეუმი განთავსებულია სამ დიდ დარბაზში, რომელიც იხვეწება, განიცდის განახლებას და გადამოწმებას. საბოლოოდ შეიქმნება ამიერკავკასიაში უნიკალური სასწავლო-სამეცნიერო მუზეუმი. მუზეუმის ვიტრინებში გამოფენილია 5000-მდე ნიმუში, რომლებიც განაწილებულია თემატურად. მუზეუმს გააჩნია მდიდარი ფონდი, რომელსაც დიდი სასწავლო მნიშვნელობა აქვს. მის საცავებში ინახება 12 ათასზე მეტი მინერალის, ქანების და მადნის ნიმუშები, რომლებიც სტუდენტებს მინერალოგიის, პეტროლოგიისა და გეოქიმიის ლაბორატორიული კურსის ათვისებაში ეხმარება.

პირველ დარბაზში 20 ვიტრინაა, სადაც გამოფენილია დაახლოებით მინერალთა 1500 ნიმუში. უნიკალურია ქალცედონის ჯგუფის მინერალების კოლექცია ახალციხის საბადოდან.



კვარც-ქალცედონის ჯგუფის მინერალების კოლექცია ახალციხიდან

პირველი დარბაზი წარმოადგენს მუზეუმის მინერალოგიურ ნაწილს, რომელიც ძირითადი ბაზაა სტუდენტებისათვის მინერალოგიის კურსის სწავლის პროცესში. მინერალთა კოლექციები წარმოდგენილია მდიდარი, მრავალფეროვანი მასალით და შეიცავს როგორც წინა წლებში შეგროვილ კოლექციებს ასევე ახალ მასალას.



თვითნაბადი ელემენტები



**პირველი დარბაზი**

პირველ დარბაზში დამთვალიერებელი ცენტრალურ ვიტრინებში ეცნობა მინერალთა სისტემურ კოლექციებს დაწყებული თვითნაბადი ელემენტებიდან დამთავრებული რთული სილიკატების კლასით. გვერდით ვიტრინებში თავმოყრილია მინერალთა კოლექციები ფორმისა და სტრუქტურის მიხედვით, აქვია საიუველირო და სანახელავო ქვები, კვარცის ჯგუფის მინერალები, მოსაპირკეთებელი ქვები და სხვა. ვიტრინის თავები დამშვენებულია ცალკეულ მინერალთა სტრუქტურებით.



**სხვადასხვა მინერალთა კოლექციები**



**სანახელავო და მოსაპირკეთებელი ქვები**

მეორე დარბაზში 20 კარადაა, მათში გამოფენილია 2000-მდე მინერალის და ქანის ნიმუში.

მეორე დარბაზი საინტერესოა მდიდარი თემატური მასალით. აქ შედის მინერალთა გენეტიური და სისტემური კოლექციები, მინერალთა კოლექციები საქართველოს საბადოებიდან.



მეორე დარბაზის საერთო ხედი



მინერალთა კოლექციები საქართველოს საზადოებიდან

მესამე დარბაზში 14 კარადაა. გამოფენილია 1500–მდექანის ნიმუში.

მესამე დარბაზში წარმოდგენილია მაგმური და მეტამორფული ქანების სისტემური კოლექციები, რომლებიც მრავალჯერ არის შევსებული და განახლებული. ცალკეა წარმოდგენილი ვულკანური წარმონაქმნების ნიმუშები. ფართოდაა წარმოდგენილი მოსაპირკეთებელი და სამშენებლო ქვების როგორც ნატეხები ასევე მათი დამუშავებული სხვადასხვა ზომის ფილები გაპრიალებული ზედაპირით.



მესამე დარბაზის საერთო ხედი



ვულკანური წარმონაქმნები



მოსაპირკეთებელი და სამშენებლო ქვები

სასწავლო პროცესის გარდა მუზეუმი ჩართულია „შაბათის სკოლის“ საქმიანობაში, კერძოდ ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებიდან მოსწავლეთათვის ითვისისწინებს სწავლების კურსს, რათა მოსწავლეები გასცდნენ სასწავლო სახელმძღვანელოების ჩარჩოებს, რაც სასკოლო პროგრამის საბაზისო ცოდნას გააფართოებს და გაამდიდრებს.



საჯარო სკოლის მოსწავლეები სტუმრად მუზეუმში

„შაბათის სკოლის“ პროგრამაში შედის ლექციების, ექსკურსიების და საუბრების ჩატარება – დედამიწის წარმოშობის, აგებულების და განვითარების ისტორიის, მასში მიმდინარე სხვადასხვა გეოლოგიური პროცესების, მათ შორის, მიწისძვრების და ვუკანიზმის, მიწის ქერქის ნივთიერი შედგენილობის, ქანების და მინერალების, როგორც სამშენებლო და მოსაპირკეთებელი მასალის, თავისებურებების და მათი გამოყენების სფეროების, საიუველირო და სანახელო ქვების, მინერალების, როგორც ბუნების საოცრების, ასევე ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს განვითარების ისტორიის შესახებ. „შაბათის სკოლის“ პროგრამაში ჩართულია აგრეთვე „ზოგადი გეოლოგიის და პალეონტოლოგიის“ მუზეუმი.



საჯარო სკოლის მოსწავლეები სტუმრად მუზეუმში

გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტში არსებული სამივე მუზეუმები ფართო პროპაგანდას უწევს არა მარტო მინერალების, ქანების, მადნების და განამარხებული ორგანიზმების შესახებ არსებულ ცოდნას, არამედ შეუზღუდავად აწვდის კოლექციონერებსა და მრავალ დაინტერესებულ პირს სრულფასოვან ინფორმაციას ეროვნული და მსოფლიო მნიშვნელობის თვალსაჩინო გეოლოგიური ექსპონატების შესახებ.

მუზეუმებში სტუდენტებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის პრაქტიკულ მეცადინეობებთან ერთად რეგულარულად ტარდება თემატური ექსკურსიები და სემინარები.

მუზეუმთან ფუნქციონირებას იწყებს საერთაშორისო საველე გეოლოგიური ბანაკი, რომელიც დაფუძნებულია ბოლნისის და ყაზბეგის რაიონებში წლების განმავლობაში ჩატარებულ სტუდენტურ პრაქტიკებთან. ბანაკის უზრუნველყოფა დიდად შეუწყობს ხელს ჩვენი და უცხოელი სტუდენტების ურთიერთობა-დაახლოებას და რაც მთავარია მათ ცოდნის გაღრმავებაში დაეხმარება.